კონფიდენციალურობის პოლიტიკა (ვერსია 01032024) 01.03.2024წ

I ზოგადი დებულებები

1.1. **შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ (ს.კ. 202461406) (შემდგომში უნიქარდი)**, წარმოადგენს დაგროვებითი ლოალობის პროექტის „უნიქარდის“ პროვაიდერ კომპანიას, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას 71, მე-3 სართული, ტელ: 2 555-222, უნიქარდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემებია: თამარ დიდიძე, 2 555-222, ელ ფოსტა : t.dididze@unicard.ge

1.2. უნიქარდის სერვისებით სარგებლობისას უნიქარდის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (შემდგომში-GDPR) და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ მომსახურეობით სარგებლობის პირობების თანახმად თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია უნიქარდი. ხოლო ცალკეული პროექტების ფარგლებში შესაძლოა უნიქარდი იყოს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი.

1.3. უნიქარდის ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციაზე ან/და უნიქარდის დაგროვებითი ლოიალური **ბარათის რეგისტრაციით** ან **უნიქარდის სისტემაში დარეგისტრირებით, ან უნიქარდის მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობებით** თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით, წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, მასში ასახული პირობები თქვენთვის გასაგები და ნათელია და ეთანხმებით მათ. ასევე, როდესაც დაიწყებთ უნიქარდის სერვისებით სარგებლობას, აღნიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა ხდება უნივერსალური დაგროვების ბარათის, „უნიქარდით“ მომსახურეობით სარგებლობის პირობების (შემდგომში მომსახურების ხელშეკრულება) და უნიქარდის ცალკეული პროდუქტების პირობების დანართი, (იმის მიხედვით თუ რომელი პროდუქტით სარგებლობს მომხმარებელი).

1.4. უნიქარდის თითოეული დასაქმებული, ან/და მომსახურების გამწევი პირი და მისი თანამშრომელი, რომელსაც აქვს წვდომა პერსონალურ მონაცემებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვალდებულია დაიცვას მათი კონფიდენციალურობა შრომითი ან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

1.5. უნიქარდი მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას და ახორციელებს სათანადო ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს პერსონალური მონაცემების არასანქცირებული წვდომის, გამჟღავნების, შემთხვევითი დაკარგვის, ცვლილების, განადგურების ან სხვა უკანონო ქმედებებისგან დაცვის მიზნით.

1.6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში მითითებული მიზნებისთვის შეგროვებული პერსონალური მონაცემები არ უნდა დამუშავდეს ამავე პოლიტიკაში აღნიშნულ მიზნებთან შეუსაბამო გზით.

1.7. უნიქარდი იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში. ცვლილების შესახებ, მომხმარებელთა ინფორმირება განხორციელდება პოლიტიკის განახლებული ვერსიის ვებგვერდზე გამოქვეყნებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შეცვლილი ან განახლებული ვერსია ძალაში შედის მისი ვებგვერდზე www.unicard.ge გამოქვეყნებისთანავე.

1.8. თუ მომხმარებელი აპირებს ისარგებლოს/სარგებლობს მომსახურეობით, რომელიც უნიქარდის პარტნიორ კომპანიებთან ერთობლივი პროექტია მაგალითად უნიქარდის სტრატეგიულ პარტნიორთან შპს ფეი უნიქარდთან (ს.კ. 404519455) ან სხვა პარტნიორებთან ერთობლივი ქო ბრენდ ბარათი ამ შემთხვევაში უნიქარდის ნაწილში შეგროვებული პერსონალური მონაცემები მუშავდება შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ხოლო შპს ფეი უნიქარდის ან სხვა პარტნიორი კომპანიის ნაწილში მონაცემები მუშავდება შესაბამისი კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად.

II მონაცემთა დამუშავების მიზნები, სამართლებრივი საფუძვლები, მონაცემთა მომწოდებლები, ვადები, მონაცემთა მიმღები

1. **ძირითადი მიზანი,** რისთვისაც უნიქარდი აგროვებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს, უნიქარდის სერვისებით მომსახურების გაწევაა;

1.1. აღნიშნული მიზნით, თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება კონკრეტულად შემდეგი სერვისებისებისათვის:

ა) უნიქარდის ქულების განკარგვა/გახარჯვა;

ბ)უნიქარდის კატალოგიდან ნივთის შეკვეთა, გაუქმება, დადასტურება, გადაცემა ან გადაცემის ორგანიზება

გ) მომხმარებლების ფასდაკლებით უზრუნველყოფა;

დ)მომხმარებლების აქცია კამპანიებში ჩართვა, აქცია კამპანიების პირობებთან შესაბამისობის იდენტიფიცირება;

ე) დამატებითი ბენეფიტებით უზრუნველყოფა/ შეთავაზება;

ვ)მომხმარებელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, ბარათის დაბლოკვა განბლოკვის მომსახურება, ბარათის რეგისტრაცია, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება, ქულების გადატანა და სხვა.

1.2. **აღნიშნული მიზნით შესაძლოა დამუშავდეს შემდეგი მონაცემები**:

სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, ასევე ინფორმაცია უკანასკნელად განხორციელებული საბარათე ოპერაციების შესახებ (იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი სარგებლობდა დაურეგისტრირებელი ბარათით)

ყურადღება - თუ სურვილი გაქვთ ისარგებლოთ უნიქარდის სერვისებით ამ შემთხვევაში თქვენს მიერ უნიქარდისთვის გარკვეული მონაცემების მიწოდება სავალდებულოა უნიქარდის მიერ **მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.**

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge

მონაცემების მიწოდებაზე/რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კომპანია ცალსახად უფლებამოსილია უარი განუცხადოს მომხმარებელს ბარათის რეგისტრაციაზე.

1.3. მონაცემთა შენახვის ადგილი და ვადა: მონაცემები ინახება მომხმარებელთან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში . მონაცემები ინახება საქართველოში, დაცულ სერვერზე.

1.4. სამართლებრივი საფუძველი: მონაცემთა შეგროვების სამართლებრივი საფუძვლებია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის “ ბ“ და „კ“ ქვეპუნქტები.

1.5. მონაცემთა მომწოდებლები და წყაროები: უშუალოდ მონაცემთა სუბიექტი/მომხმარებლები,

1.6. მონაცემთა მიმღებია უნიქარდი, თუმცა მომსახურების ფარგლებში თქვენი გარკვეული მონაცემების გაზიარება შესაძლოა განხორციელდეს უნიქარდის პარტნიორი კომპანიებისათვის კერძოდ:

ა) თუ პარტნიორ კომპანიაში ახორციელებთ დაგროვებული ქულების გადაცვლას ამავე პარტნიორი კომპანიის ნივთზე/მომსახურებაზე, ასეთ შემთხვევაში პარტნიორი კომპანიისთვის ხელმისაწვდომია თქვენი სახელი, გვარი, უნიქარდის ბარათზე დაგროვებული ქულების ნაშთი, იმისათვის რომ პარტნიორმა კომპანიამ შეამოწმოს გაქვთ თუ არა ქულების ადეკვატური რაოდენობა და რეგისტრირებულია თუ არა თქვენს სახელზე უნიქარდის ძირითადი ბარათი.

ბ) უნიქარდის ელექტრონული კატალოგიდან შეკვეთილია ნივთი, მომსახურება და გსურთ მათი მიღება ან გსურთ განახორციელოთ ელექტრონული კატალოგიდან ქულების სანაცვლოდ მიღებული თანხობრივი ელექტრონული ვაუჩერის განაღდება, ამ შემთხვევაში უნიქარდმა თქვენი სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი ან მომხმარებლის მიერ მითითებული უფლებამოსილი პირის (რომელსაც მომხმარებლის მიერ მინიჭებული აქვს შეკვეთილი ნივთის/მომსახურების/ვაუჩერის მიღების უფლება) სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი, გაუზიაროს იმ კონკრეტულ პარტნიორ კომპანიებს და მესამე პირებს (რომლებიც ახორციელებენ მომხმარებლის მიერ შეკვეთილი ნივთის/ მომსახურების ან ვაუჩერში მოცემული ნივთის/მომსახურების რეალიზაციას, ან/და გადაცემას) მომხმარებლის/უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ნივთის/მომსახურების/ვაუჩერში მოცემული ნივთის/მომსახურების გადაცემის მიზნებისათვის. ტელეფონის ნომერი მოითხოვება თქვენთან/უფლებამოსილ პირთან კომუნიკაციისთვის.

გარდა აღნიშნულისა მონაცემთა მიმღები ცალკეული საფუძვლებისა და გარემოებების შემთხვევაში შესაძლოა იყოს სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგამოძიებო დაწესებულებები/ორგანოები, ადვოკატები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (შემოწმების განხორციელებისას),აუდიტორები, საგადასახადო ორგანოები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში და სხვა ლეგიტიმური ინტერესის მქონე ორგანიზაციები.

2.მიზანი: უნიქარდის და მომხმარებლების ინტერესების დაცვა, ვიდეომონიტორინგი

2.1 ვიდეომონიტორინგი ხორციელდება უნიქარდის სათავო ოფისში მდებარე ქ. თბილისში, ვაჟა ფშაველას 71, მე-3 სართულზე, მონაცემები მუშავდება მომხმარებლის/მათი წარმომადგენლების, უნიქარდში დასაქმებულთა და სხვა ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და სხვა უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მომხმარებლების (რომლებიც ზოგჯერ გარკვეულ საკითხზე შეიძლება ეწვიონ სათავო ოფისს), უნიქარდის და მათი თანამშრომლების, სხვა ვიზიტორების და მათი ქონების, უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური ინტერესით.

2.2 აღნიშნული მიზნით შეიძლება დამუშავდეს შემდეგი პერსონალური მონაცემები: უნიქარდის მომხმარებლის, მისი წარმომადგენლის, უნიქარდის თანამშრომლის ან სხვა ნებისმიერი ვიზიტორის გამოსახულება, რომელშიც შესაძლებელი შეიძლება იყოს მასში აღბეჭდილი ადამიანის სახის გამოსახულების გარჩევა.

2.3 უნიქარდის სათავო ოფისში შესვლამდე, სადაც მხოლოდ ცალკეულ ადგილებში, მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი, ვიდეო მონიტორინგის შესახებ გეცნობებათ სპეციალური, თვალსაჩინო ადგილას განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნით. ვიდეომონიტორინგის განხორციელებაზე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია უნიქარდი, მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია შპს ფეი უნიქარდი.

2.4 მონაცემთა შენახვის ვადა: 12 თვე

2.5 მონაცემთა მომწოდებლები: უშუალოდ მომხმარებელი, ვიზიტორი, თანამშრომელი, რომელიც იმყოფება უნიქარდის სათავო ოფისში, სადაც გარკვეულ ადგილებში, გამაფრთხილებელი ნიშნით ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს.

2.6 მონაცემთა მიმღებნი: უნიქარდი, ასევე შესაძლოა მონაცემთა მიმღები იყოს სასამართლო, საგამოძიებო დაწესებულებები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადვოკატები (მხოლოდ დანაშაულის მცდელობის/დანაშაულის არსებობის შემთხვევაში).

2.7 მონაცემთა გადაცემა: შესაბამისი საფუძვლის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგამოძიებო ორგანოები, სასამართლო და სხვა ლეგიტიმური უფლების მქონე ორგანოები.

2.8 სამართლებრივი საფუძველი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 ნაწილი.

3. მიზანი: მომხმარებლის თანხმობით, მომხმარებლების სატელეფონო საუბრების აუდიომონიტორინგი

3.1. აუდიომონიტორინგი ხორციელდება უნიქარდის სატელეფონო ცენტრთან ტელეფონზე 2 555-222 კავშირისას, აუდიომონიტორინგი ხორციელდება მომხმარებლის/თქვენი თანხმობით. ამასთანავე მომხმარებელს განემარტება კომუნიკაციისთვის ალტერნატიული გზაც.აუდიომონიტორინგი ხორციელდება -- მომსახურების გაწევის, მომხმარებლებისათვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, მომხმარებლების განცხადების განხილვის, უნიქარდის ბარათთან დაკავშირებული შეტყობინებების (მაგალითად ბარათის დაკარგვა, დაბლოკვის შესახებ და ა.შ.) შეტყობინებებისათვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ლეგიტიმური ინტერესებისათვის. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აუდიომონიტორინგზე და გამოცხადდეს უნიქარდის სერვის პუნქტში სასურველი მომსახურების/ინფორმაციის მისაღებად.

3.2.აღნიშნული მიზნით შეიძლება დამუშავდეს შემდეგი პერსონალური მონაცემები:

აუდიო ჩანაწერი, სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, სქესი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფო.

3.3. აუდიომონიტორინგის განხორციელებაზე მონაცემთა **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირია** უნიქარდი.

3.4. მონაცემთა შენახვის ვადა: 1 წელი.

3.5.მონაცემთა მომწოდებლები: უშუალოდ მომხმარებელი, ყოფილი მომხმარებელი, პოტენციური მომხმარებელი, თანამშრომელი, ყოფილი თანამშრომელი, მომხმარებლის წარმომადგენელი, რომელიც უკავშირდება უნიქარდის სატელეფონო ცენტრს და თანახმაა განხორციელდეს აუდიომონიტორინგი.

3.6. მონაცემთა მიმღებნი: უნიქარდის გარდა შესაძლებელია მონაცემთა მიმღები იყოს სასამართლო, საგამოძიებო დაწესებულებები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადვოკატები (მხოლოდ დანაშაულის მცდელობის/დანაშაულის არსებობის შემთხვევაში).

3.7. სამართლებრივი საფუძველი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი.

4. მიზანი: მომხმარებლებისათვის არასარეკლამო ინფორმაციის მიწოდება

4.1. თქვენთვის არასარეკლამო ინფორმაციის მიწოდების მიზნით თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება, რათა თქვენ/მომხმარებელს მიეწოდოს ინფორმაცია უნიქარდის მომსახურების დროებითი შეჩერების/შეზღუდვის შესახებ, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის, განხორციელებული გადახდის დადასტურების , სისტემური ცვლილების, ინფორმაციის დადასტურების, ოტპ (OTP ერთჯერადი კოდის) გაგზავნის და უნიქარდის მომსახურებებთან დაკავშირებული სხვა არასარეკლამო შეტყობინებების მიწოდებისთვის.

4.2. აღნიშნული მიზნით შეიძლება დამუშავდეს შემდეგი პერსონალური მონაცემები:

ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი, მისამართი.

4.3. არასარეკლამო შეტყობინებები **აუცილებელია** უნიქარდს და მომხმარებელს შორის დადებული მომსახურებით სარგებლობის პირობების, შესასრულებლად და ისინი **არ** განიხილება, როგორც პირდაპირი მარკეტინგის (ანუ სარეკლამო შეთავაზებების) მიზნით განხორციელებული შეტყობინებები. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მისი მონაცემების არასარეკლამო ინფორმაციის მიწოდების მიზნით დამუშავებაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში უნიქარდის სერვისებით სარგებლობა შეეზღუდება/შეუწყდება.

4.4. მონაცემთა შენახვის ვადა: 15 წელი.

4.5. მონაცემთა მომწოდებლები: მომხმარებელი;

4.6. მონაცემთა მიმღები: აღნიშნული მიზნით მონაცემების არ მიეწოდება სხვა პირებს.

4.7. სამართლებრივი საფუძველი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „კ“ პუნქტი.

5. მიზანი: მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული პირდაპირი მარკეტინგი (სარეკლამო შეთავაზებების დაგზავნა მომხმარებლებისათვის)

5.1. თქვენს ინტერესებზე მორგებული სარეკლამო შეთავაზებების დასაგზავნად თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება უნიქარდის მომსახურების/კამპანიების შეთავაზებისთვის, რაც საშუალებას მოგცემთ მუდმივად თვალი ადევნოთ უნიქარდის სიახლეებსა და აქციებს.

თქვენს/მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული სარეკლამო შეთავაზებების განხორციელება გულისხმობს, რომ შესაძლოა უნიქარდის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე განხორციელდეს მომხმარებლის შესახებ 5.2. პუნქტში მოცემული გარკვეული მონაცემების ფილტრაცია/სეგმენტაცია პერიოდულად და სხვადასხვა მონაცემებით სეგმენტირებული /გაფილტრული ბაზის ერთჯერადი ფორმირება და სარეკლამო მარკეტინგული ხასიათის შეთავაზებების დაგზავნა/გაზიარება;

5.2. აღნიშნული მიზნით შეიძლება დამუშავდეს შემდეგი პერსონალური მონაცემები:

მომხმარებლის მიერ, უნიქარდში რეგისტრირებული შემდეგი მონაცემები: ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ასაკი, სქესი, მისამართი, ან/და ნებისმიერი სხვა მონაცემი, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის ინტერესების შესაბამისად, სასურველი კომერციული ინფორმაციის/სარეკლამო შეთავაზების მიღების ეფექტურობას;

უნიქარდი სარეკლამო შეთავაზებების მომხმარებლებისათვის დაგზავნას ახორციელებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს გაცხადებული აქვს **თანხმობა** მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე და ასეთ შემთხვევაში თანხმობა გულისხმობს, რომ უნიქარდთან დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომხმარებელი ტელეფონის ნომერზე შეტყობინების ან/და ხმოვანი ზარების სახით,

ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების სახით ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით უნიქარდისგან მიიღებს მის ინტერესებზე მორგებულ შეთავაზებებს;

5.3. თანხმობის გაცხადება და გამოთხოვა მომხმარებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გამოიხმოს თანხმობა მარტივად, მოკლე ტექსტური შეტყობინების ტექსტურ ველში, ციფრი 2-ის 90094 ნომერზე გაგზავნის გზით ან ნებისმიერ დროს განაცხადოს თანხმობა მოკლე ტექსტური შეტყობინების ტექსტურ ველში, ციფრი 1-ის 90094 ნომერზე გაგზავნის გზით. აღნიშნული სმს სერვისის სერვისის გამოყენება უფასოა.
სარეკლამო შეთავაზებების მიღებაზე უარის გაცხადება ან თანხმობის გაცხადება ასევე შესაძლებელია:
ნებისმიერ დროს 24/7 უნიქარდის სატელეფონო ცენტრთან 2 555-222 დაკავშირების გზით;
უნიქარდის სერვის პუნქტებში ქ. თბილისში, სითი მოლის შენობაში მდებარე, ვაჟა ფშაველას 70, და ი.ვეკუას 1, ასევე თბილისი მოლში მდებარე: აღმაშენებლის გამზირი მე16 კმ. 0131 ცენტრალურ ატრიუმში, ოპერატორთან მიმართვის გზით.
ან სხვა არხებიდან რაც მოცემული იქნება უშალოდ მომხმარებლის თანხმობაში ან ვებ გვერდზე www.unicard.ge საჯარო ადგილას განთავსების გზით.

5.4. თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის ფაქტების შენახვის ვადა: პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

5.5. მონაცემთა მომწოდებლები: უშუალოდ მომხმარებელი;

5.6. მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია უნიქარდი,

5.7. მონაცემთა მიმღებები: აღნიშნული მიზნით მონაცემები (მომხმარებლის ტელეფონი, ელ ფოსტა) სხვა პირს არ გადაეცემა..

5.8.მონაცემთა შენახვის ვადა: მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდი.

5.9. სამართლებრივი საფუძველი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი.

6. მიზანი: სტატისტიკური ანალიზის წარმოება

6.1. სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული თქვენი პერსონალური მონაცემები, გარდა პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების/ მათი დეტალების, ასევე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილისა, (იმ სახით, რომ არც ერთი მომხმარებლის იდენტიფიცირება არ იყოს შესაძლებელი) შესაძლოა, დამუშავდეს სტატისტიკური ანალიზის განსახორციელებლად, პრეზენტაციებისთვის, ბიზნეს შეთავაზებებში და სხვა გამოსაყენებლად. აღნიშნული მიზნით მონაცემთა დამუშავება მოხდება, ისე რომ სტატისტიკური ანალიზის ფარგლებში მისი გამოყენებით შეუძლებელი იყოს მონაცემთა შესაბამისი სუბიექტების (მომხმარებლების) იდენტიფიცირება. სტატისტიკური ანალიზის მიზნით თქვენი (მომხმარებლის) პერსონალური მონაცემების შეგროვება ეფუძნება საქმიანობის ანალიზს, უნიქარდის სერვისების გაუმჯობესებისა და განვითარების ინტერესს.

7.მიზანი: მომსახურების გაუმჯობესება

ყველა ზემოაღნიშნული მიზნისთვის შეგროვებული მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს ტექნიკური და ორგანიზაციული მოწყობილობების/საშუალებების, IT ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გამოყენებულ მოწყობილობებთან/საშუალებებთან მომსახურებების ადაპტირებისთვის, უნიქარდის ახალი მომსახურებების განვითარებისთვის, არსებული მომსახურებებით მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის, ასევე ტექნიკური მოწყობილობების/შესაძლებლობების და IT ინფრასტრუქტურის ტესტირებისა და გაუმჯობესებისთვის.

8. მიზანი: მომსახურების არამართებულად გამოყენების პრევენცია და მომსახურების სათანადო მიწოდება.
ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნისთვის შეგროვებული მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა ავტორიზებული წვდომისა და გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ანუ კონფიდენციალურობისა და ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

9. აუთსორსინგული კომპანიები

მონაცემების დამუშავებისთვის უნიქარდს შეუძლია დაიქირაოს სხვა პირები, აუთსორსინგული კომპანიები სხვადასხვა დამხმარე/დამატებითი ფუნქციების შესასრულებლად (მაგ. მონაცემთა ცენტრები, ჰოსტინგი, ღრუბლოვანი ჰოსტინგი, სისტემის ადმინისტრირება, სისტემის განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, უზრუნველყოფა, გაუმჯობესებისა და განვითარებების მხარდაჭერა, მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისი; მარკეტინგი, კომუნიკაცია, კონსულტაცია, დროებითი პერსონალი ან მსგავსი მომსახურება). ასეთ შემთხვევებში, შპს ფეი უნიქარდი მიიღებს ზომებს, რათა დარწმუნდეს, რომ დაქირავებული კომპანიები ამუშავებენ მონაცემებს უნიქარდის ინსტრუქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მოითხოვს მათგან პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვას. უნიქარდი ასევე უზრუნველყოფს ასეთი პირებისთვის კონფიდენციალურობის ვალდებულების დაკისრებას, რათა მათ ვერ შეძლონ ამ ინფორმაციის გამოყენება მათი ფუნქციების შესრულების გარდა სხვა ნებისმიერი მიზნით.

10. პროგრამული უზრუნველყოფა

წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მონაცემები მუშავდება უნიქარდის პროგრამულ უზრუნველყოფაში .

11. დამუშავების გეოგრაფიული ფარგლები

11.1. უნიქარდის მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

12. გარდაცვლილი პირისა და მემკვიდრის პერსონალური მონაცემების დამუშავება

12.1. უნიქარდი მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებისა და მემკვიდრეობის მიღების (მოცემულ შემთხვევაში უნიქარდის ბარათზე დარიცხული ქულების მემკვიდრისთვის გადაფორმების მიზნით) ლეგიტიმური ინტერესების განსახორციელებლად ახორციელებს გარდაცვლილი პირის მონაცემებისა და მემკვიდრის (რომელიც იღებს გარდაცვლილი პირის აქტივებს) მონაცემების დამუშავებას რაც განსაზღვრულია სამკვიდრო აქტში/მოწმობაში.

12.2. მონაცემთა მიმღები : უნიქარდი

12.3. მონაცემთა შენახვის ვადა : პირთან რომელსაც გადაუფორმდა გარდაცვლილის ბარათი/უნიქარდის ქულები სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდი. მონაცემები ინახება საქართველოში, დაცულ სერვერზე.

12.4. სამართლებრივი საფუძველი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

13. მზა ჩანაწერების („Cookie "-ს) პოლიტიკა

13.1. უნიქარდმა შესაძლოა ვებ გვერდზე გამოიყენოს მზა ჩანაწერები „cookie„. მზა ჩანაწერები პატარა ტექსტური ფაილებია. ამ პატარა ტექსტურ ფაილებს თქვენს (მომხმარებლის) მოწყობილობაზე ათავსებს ვებგვერდი, რომელსაც სტუმრობთ. თქვენი ყველა შემდგომი ვიზიტისას, მზა ჩანაწერები უბრუნდება ამ ან სხვა ისეთ ვებგვერდს, რომელიც მათ ცნობს.

13.2. ჩვეულებისამებრ, უნიქარდის მომხმარებლის მოწყობილობაზე იყენებს მხოლოდ აუცილებელ cookie-ს ვებ გვერდის ფუნქციონირებისა და გამოყენების გასაუმჯობესებლად და ვებ გვერდსა და მასში განთავსებულ ინფორმაციაზე პიროვნების წვდომის ხელშესაწყობად. კერძოდ:

13.3. სავალდებულო მზა ჩანაწერები cookies.

აუცილებელია ვებგვერდის ფუნქციონირებისთვის და ამიტომ მათი გამორთვა ჩვენს სისტემაში შეუძლებელია. ისინი, როგორც წესი, დაპროგრამებულია თქვენი ისეთი ქმედებების საპასუხოდ, რომლებიც მომსახურების მოთხოვნას ეხება, როგორიცაა თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების დაყენება, სისტემაში შესვლისთვის /login და სანამ აქტიური სესია აქვს მომხმარებელმა განახორციელოს ოპერაციები.

13.4. ანალიტიკისა და ვებ გვერდის მუშაობის მზა ჩანაწერები.

„ანალიტიკისა და ვებგვერდის მუშაობის" მზა ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს, თვალი ვადევნოთ ანალიტიკას, ვებგვერდის სტუმრების რაოდენობას და შევაფასოთ და გავაუმჯობესოთ ვებგვერდის ფუნქციონირება. ისინი გვეხმარებიან, დავადგინოთ თუ რომელი გვერდებია მეტად ან ნაკლებად პოპულარული და რომელ გვერდებს სტუმრობენ ვიზიტორები ასევე რა ბრაუზერით და რომელი ვინდოუსის ვერსიას იყენებენ. მზა ჩანაწერების მიერ შეგროვებული ინფორმაცია ანონიმურია. თუ თქვენ არ მისცემთ დაშვებას ამ ფაილებს, არ გვეცოდინება როდის მოინახულეთ ჩვენი ვებგვერდი და ვერ შევძლებთ მისი ფუნქციონირების მონიტორინგს.

მზა ჩანაწერების თქვენს/მომხმარებლის მოწყობილობაზე გაჩერების დრო დამოკიდებულია იმაზე, არის ეს „მუდმივი" თუ „ცალკეული სესიის" მზა ჩანაწერები. მუდმივ მზა ჩანაწერებს შეინახავს ვებბრაუზერი. ისინი მოქმედი იქნება მათი ვადის გასვლამდე, ან სანამ თქვენ არ წაშლით მათ ამ ვადის ამოწურვამდე. ცალკეული სესიის მზა ჩანაწერები კი სესიის დასრულებისას, ვებბრაუზერის დახურვისთანავე ქრება.

14. მესამე მხარის ვებგვერდები

უნიქარდი არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის ვებ გვერდებზე მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, მაშინაც კი, თუ მომხმარებელი აღნიშნულ ვებ გვერდზე გადადის უნიქარდის ვებ გვერდზე განთავსებული ბმულების მეშვეობით. უნიქარდი გირჩევთ, გაეცნოთ თითოეული ვებგვერდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, რომელიც არ ეკუთვნის უნიქარდს.

15.ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

უნიქარდი მიზნად ისახავს უზრუნველყოს თქვენს(მომხმარებლების) შესახებ მოპოვებული ყველა ინფორმაციის/მონაცემის უსაფრთხოება. ამ ინფორმაციის არასანქცირებული წვდომისგან, გამოყენებისგან, კოპირებისგან, შემთხვევით ან უკანონო წაშლისგან, ცვლილებისგან ან გამჟღავნებისგან, დამუშავების ნებისმიერი სხვა არაავტორიზებული ფორმისგან თავის დასაცავად .

16.პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული თქვენი უფლებები

16.1. თქვენ(მომხმარებელს) გაქვთ შემდეგი უფლებები:

ა. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება:

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია, ამუშავებს თუ არა უნიქარდი თქვენს პერსონალურ მონაცემებს. ასევე მიიღოთ ინფორმაცია თუ რომელი პერსონალური მონაცემები დამუშავდა, რომელი წყაროებიდან არის შეგროვებული, რა არის დამუშავების საფუძვლები და მიზანი, ვინ არიან მიმღებნი, რომელთაც მიეწოდებათ ან შეიძლება მიეწოდოთ პერსონალური მონაცემები;

თქვენ უფლება გაქვთ თქვენს შესახებ მონაცემებს გაეცნოთ ან/და მიიღოთ მათი ასლები იმ ფორმით, რა სახითაც დაცულია უნიქარდში. ასევე მოითხოვოთ თქვენს შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით თუ ეს უნიქარდისათვის ტექნიკურად შესაძლებელია. კალენდარულ წელიწადში ერთხელ, მონაცემები შეიძლება მიწოდებულ იქნას უფასოდ, მაგრამ სხვა შემთხვევებში, შეიძლება დაწესდეს ანაზღაურება იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება მონაცემთა შეგროვების/ უზრუნველყოფის ღირებულებას.
თქვენ უფლება გაქვთ ამავე პუნქტში მოცემული ინფორმაცია მიიღოთ უნიქარდისთვის მოთხოვნის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. თუმცა აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება მომხმარებელს.

16.2. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება:
თუ უნიქარდის მიერ დამუშავებული თქვენი მონაცემები არასწორი/მცდარი, არასრული ან არაზუსტია და აღნიშნულს გამოავლენს მომხმარებელი, შეგიძლიათ წერილობით, ან უნიქარდის სერვის პუნქტში ვიზიტით მიმართოთ უნიქარდს არასწორი ან არაზუსტი მონაცემების გასასწორებლად, განსაახლებლად ან/და შესავსებად.

16.3.მონაცემთა წაშლის უფლება
თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა, თუმცა ამ შემთხვევაში თქვენ სრულფასოვნად ვერ ისარგებლებთ უნიქარდის სერვისებით.

16.4.მონაცემთა დამუშავების დროებითი შეჩერების (დაბლოკვის) უფლება:
თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების შეჩერება, როდესაც პერსონალური მონაცემების სიზუსტე ან ნამდვილობა სადავოა მომხმარებლის მხრიდან

მონაცემთა დამუშავება უკანონოა,თუმცა თქვენ არ გსურთ მათი წაშლა და ამ შემთხვევაში გაქვთ უფლება მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა;

უნიქარდს აღარ ესაჭიროება პერსონალური მონაცემები დამუშავების მიზნებისთვის, მაგრამ თქვენთვის იგი საჭიროა საჩივრის/სარჩელის წარსადგენად ან არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

მონაცემთა დამუშავების დროებითი შეჩერების პერიოდში თქვენთან/მომხმარებელთან უნიქარდის სერვისებით სარგებლობა შეჩერდება/შეიზღუდება.

16.5. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის უფლება

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის; ასევე უფლება გაქვთ მოსთხოვოთ უნიქარდს არ დაამუშაოს თქვენი პერსონალური მონაცემები რა დროსაც თქვენთვის უნიქარდის სერვისებით სარგებლობა შეიზღუდება.

16.6. მონაცემთა გადატანის (პორტირების)უფლება

თქვენ უფლება გაქვთ მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია მოსთხოვოთ უნიქარდს თქვენს მიერ უნიქარდისთვის მიწოდებული მონაცემების სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიღება ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირისათვის გადაცემა (მონაცემთა პორტირება) უნიქარდისთვის წერილობითი მიმართვის გზით.

16.7. თანხმობის გამოხმობის უფლება

თქვენ უფლება გაქვთ ყოველგვარი განმარტებისა ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოთ მის მიერ გაცემული თანხმობა, ამასთანავე თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს უნიქარდს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ. ამასთანავე თანხმობის გამოთხოვის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეწყდება რაც ასევე გამოიწვევს შესაბამისი პროდუქტის მომსახურების შეწყვეტას .

16.8.საჩივრის შეტანის უფლება:
თუ თვლით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევით, უფლება გაქვთ, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით პრეტენზიით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: https://pdps.ge/ka, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

16.9 დაკავშირების უფლება:
თქვენი უფლებების განხორციელების მიზნით, უფლება გაქვთ დაუკავშირდეთ უნიქარდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს;

16.10. სხვა კანონიერი უფლებები:
თქვენ შეგიძლიათ თქვენი უფლებების რეალიზებისათვის დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის მოპოვების, გასწორების, მონაცემთა შეზღუდვის/დაბლოკვის, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის და თქვენთვის მონიჭებული უფლებებით სარგებლობისათვის თქვენი მოთხოვნა გამოაგზავნოთ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: t.dididze@unicard.ge , info@unicard.ge მოთხოვნის წარმდგენმა პირმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს მისი

სრული სახელი, გვარი და მოთხოვნა გააგზავნოს სისტემაში რეგისტრირებული ელ. ფოსტის მისამართიდან. მოთხოვნის მიღების შემდეგ უნიქარდის წარმომადგენელი დაგიკავშირდებათ თქვენი იდენტიფიკაციისა და მოთხოვნის შესრულების პროცესის განსახორციელებლად.

17. საბოლოო დებულებები

აღნიშნულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაზე ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი . პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დებულებებთან დაკავშირებული ყველა დავა წყდება მოლაპარაკების გზით და მისი ამ გზით გადაუჭრელობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს სასამართლოებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge